

საანგარიშგებო პერიოდის უაგლობი მოვლენები

მოქმედების სფერო

- 18.1 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც მოხდება ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სამსახურში.

ფინანსური ანგარიშგების სამსახურში წარდგენამდე ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებლებს მოეთხოვებათ განსაზღვრონ საანგარიშგებო თარიღსა და წარდგენის თარიღს შორის მომხდარი მოვლენები რამდენად უნდა აისახოს აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მაგალითად, 01/10/20X2 წელს A საწარმო სამსახურში წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას 31/12/20X1-ში დასრულებული წლისთვის. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს 31/12/20X1-დან 01/10/20X2-მდე მომხდარი ხელსაყრელი თუ არახელსაყრელი მოვლენები რამდენად უნდა აისახოს A საწარმოს 31/12/20X1 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში (ანუ გავლენა აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებასა და შეფასებაზე და/ან სავალდებულო განმარტებითი შენიშვნების შინაარსზე (იხ. მე-3 განყოფილება - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 3.15)).

- 18.2 ამ განყოფილებაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები კლასიფიცირებულია შემდეგნაირად:

- (ა) **მაკორექტირებელი მოვლენები** - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისთვის არსებულ გარემოებებზე;
- (ბ) **არამაკორექტირებელი მოვლენები** - საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები, რომლებიც მიანიშნებს იმ გარემოებებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ პერიოდში; და
- (გ) **მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების**

შედგენის საფუძველს – საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები, რომლებიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საწარმოს ხელმძღვანელობის შეფასებით, მათ არ გააჩნიათ საწარმოს ლიკვიდაციის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა (ანუ საწარმო აღარ არის ფუნქციონირებადი საწარმო).

მოვლენა მაკორექტირებელია თუ არამაკორექტირებელი?

მოვლენის კლასიფიკაცია მაკორექტირებელ ან არამაკორექტირებელ მოვლენად დამოკიდებულია იმაზე, იგი დამატებით ინფორმაციას უზრუნველყოფს იმ გარემოებებზე, რომლებიც საანგარიშგებო თარიღით (მაკორექტირებელი მოვლენა) არსებობდა თუ მიანიშნებს გარემოებებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო თარიღის შემდეგ (არამაკორექტირებელი მოვლენა).

მაკორექტირებელი მოვლენა გავლენას ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებასა და შეფასებაზე (იხ. პუნქტი 18.3). მაკორექტირებელი მოვლენების მაგალითებია:

- მოვალის გაკოტრება წლის დასრულების შემდეგ, რაც ადასტურებს, რომ წლის ბოლოს სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი უიმედო იყო;
- საწარმოს წინააღმდეგ სასამართლო დავის შედეგი, რომელიც დაკავშირებულია მოვლენასთან, რომელიც საანგარიშგებო თარიღამდე მოხდა;
- წლის დასრულების შემდეგ ქონების შეფასება, იმდენად, რამდენადაც ეს წლის დასრულებამდე ქონების გაუფასურების მტკიცებულებას იძლევა;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მარაგის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად გაყიდვა;
- წლის დასრულების შემდეგ წლის დასრულებამდე მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებული იურიდიულ ან სადაზღვევო პრეტენზიებთან მიმართებით თანხების მიღება ან გადახდა;
- წლის დასრულების შემდეგ იმ აქტივის შესყიდვის ფასის განსაზღვრა, რომელიც წლის დასრულებამდე იქნა შეძენილი;
- წინა ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომების აღმოჩენა.

არამაკორექტირებელი მოვლენა გავლენას არ ახდენს აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებასა და შეფასებაზე (იხ. პუნქტი 18.4). არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითებია:

- სტიქიური უბედურებები, როგორცაა მაგალითად ხანძარი ან წყალდიდობა, რამაც საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ გაანადგურა გრძელვადიანი აქტივები და მარაგები;
- გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა ან გაყიდვა, რაც საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მოხდა;
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი რესტრუქტურისა-

ცის დაწყება;

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვანი გარანტიების გაცემა; და
- სასამართლო დავის დაწყება, რომელიც მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მომხდარმა მოვლენებმა განაპირობა.

იმისათვის, რომ ერთმანეთისგან განვასხვაოთ მაკორექტირებელი და არამაკორექტირებელი მოვლენები, საჭიროა დავეყრდნოთ ამ ტერმინების განმარტებებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მაგალითები ამ განსხვავების საილუსტრაციოდ სხვადასხვა საწარმოს 31/12/20X1-ში დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებების მაგალითზე, რომლებიც სამსახურს წარედგინა 01/10/20X2-ში.

მაკორექტირებელი მოვლენა	არამაკორექტირებელი მოვლენა
<p>31/12/20X1 წელს A დებიტორს A საწარმოს ვალი აქვს 10,000 ლარი.</p> <p>A დებიტორს გაკოტრებაზე შეაქვს განაცხადი 15/02/20X2 წელს, ამგვარად, ადასტურებს, რომ A საწარმოს ანგარიშებში სავაჭრო მოთხოვნა უიმედო იყო 31/12/20X1 წელს.</p>	<p>31/12/20X1 წელს B დებიტორს A საწარმოს ვალი აქვს 15,000 ლარი.</p> <p>15/01/20X2 წელს ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია B დებიტორის ერთადერთი ქარხანა. ამიტომ, 20/01/20X2 წელს B დებიტორს გაკოტრებაზე შეაქვს განცხადება.</p> <p>მიწისძვრამდე B დებიტორის სამეურნეო საქმიანობა მომგებიანი იყო და არ მიიჩნეოდა, რომ მას დეფოლტის რისკი ჰქონდა.</p>
<p>20X2 წელს B საწარმოს პატენტის დარღვევის სარჩელი შეაქვს სასამართლოში A საწარმოს წინააღმდეგ, 20X1 წელს მომხდარი კანონდარღვევების გამო, რაზეც A საწარმო არ კამათობს.</p> <p>სასამართლო ადგენს ზიანის ოდენობას, რომელიც A საწარმომ უნდა აუნაზღაუროს B საწარმოს.</p>	<p>20X2 წლის ივნისში C საწარმოს პატენტის დარღვევის სარჩელი შეაქვს სასამართლოში A საწარმოს წინააღმდეგ, 20X2 წელს მომხდარი კანონდარღვევების გამო, რაზეც A საწარმო არ დავობს.</p> <p>სასამართლო ადგენს ზიანის ოდენობას, რომელიც A საწარმომ უნდა აუნაზღაუროს C საწარმოს.</p>
<p>20/01/20X2 წელს A საწარმომ აღმოაჩინა, რომ მარაგები, რომელიც თბილისში მდებარე საწყობში ინახებოდა 31/12/20X1 წელს, დაზიანებული იყო ძლიერი წვიმის გამო.</p> <p>20X2 წლის იანვარში თბილისში წვიმა არ მოსულა.</p>	<p>20/01/20X2 წელს წვიმამ მარაგები დააზიანა A საწარმოს ბათუმის საწყობში.</p> <p>31/12/20X1 წელს ინვენტარიზაციის დროს ნახეს, რომ ეს მარაგები დაუზიანებელი იყო.</p>
<p>10/02/20X2 წელს A საწარმოს თბილისში მდებარე ახლადშენებული ქარხნის სუსტი მიწისძვრის მიერ დაზიანებამ გამოავლინა შენობის სტრუქტურული პრობლემა. შენობის მშენებლობა 20X1 წლის დეკემბერში დასრულდა.</p> <p>ეს დეფექტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ქარხნის შენობა გაუფასურებულია მე-9 განყოფილების - არაფინანსური აქტივების გაუფასურება - შესაბამისად.</p>	<p>20/02/20X2 წელს ძლიერმა წვიმამ უპრეცედენტო წყალდიდობა გამოიწვია, რამაც დააზიანა A საწარმოს ქარხანა ბათუმში.</p> <p>ეს დეფექტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხუთი წლის წინ აშენებული ქარხნის შენობა გაუფასურებულია მე-9 განყოფილების - არაფინანსური აქტივების გაუფასურება - შესაბამისად.</p>

<p>A საწარმო თავის ახლადგაშენებულ ვენახს გასაყიდი ფასის მოდელით აღრიცხავს.</p> <p>20X1 წელს A საწარმოსთვის ცნობილი ხდება, რომ ვენახი დაავადებამ დააზიანა და ვაზს წამალს ასხურებს სანამ ინფექციას არ შეაჩერებს 20X1 წლის ნოემბერში.</p> <p>31/12/20X1 წელს, გამოცდილების საფუძველზე, ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ დაავადება აღმოფხვრილია და A საწარმოს მიერ მომავალში ყურძნის წარმოებას საფრთხე არ ემუქრება.</p> <p>თუმცა, 20X2 წლის ივნისში ცხადი ხდება, რომ დაავადება აღმოფხვრილი არ არის და აზიანებს 20X2 წლის მოსავალს.</p>	<p>D საწარმო თავის ახლადგაშენებულ ვენახს გასაყიდი ფასის მოდელით აღრიცხავს.</p> <p>20X2 წლის აპრილში D საწარმოსთვის ცნობილი გახდა, რომ ვენახი ინფიცირებულია დაავადებით, რომელიც 20X2 წლის თებერვალში იმპორტირებული ახალი საძირებიდან გავრცელდა ვენახზე.</p> <p>20X2 წლის ივნისში ცხადი იყო, რომ დაავადება D საწარმოს ყველა ვაზს გადაედო. ვაზების გადასარჩენად და მომავალში მოსავლის მისაღებად ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ვენახის შეწამლვა და უარი თქვა 20X2 წლის მოსავალზე.</p>
<p>A საწარმო ცხვრის მატყლის მარკეტინგს ერთობლივი გაყიდვის შეთანხმებით ახორციელებს, რაც ემსახურება მატყლის გაყიდვიდან შემოსავლის მაქსიმიზაციას ადგილობრივი მეცხვარე ფერმერებისთვის, ერთობლივი ბრენდირებისა და კოლექტიური შეთანხმებისთვის მოლაპარაკებების მეშვეობით.</p> <p>მართალია, 20X1 წელს მიღებული მატყლის მთლიანი პარტია გაიყიდა 31/12/20X1-თვის, მაგრამ მიღებული თანხებიდან მხოლოდ 80% განაწილდა ფერმერებზე.</p> <p>შეთანხმების პირობების შესაბამისად 15/03/20X2-ში გაუნაწილებელი 20%-დან კოლექტიური შეთანხმების 20X1 წლის ხარჯების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხა განაწილდა მეცხვარე ფერმერებს შორის.</p>	<p>A საწარმო თავის სახორცე ნახირს გასაყიდი ფასის მოდელით აღრიცხავს.</p> <p>ბაზარზე არსებულმა გარემოებებმა გამოიწვია ქართულ ხორცზე სასაკლავო ფასების ორჯერ და უფრო მეტად გაზრდა 31/12/20X1-დან 01/10/20X2-მდე. შესაბამისად, A საწარმოს სახორცე ნახირის ღირებულება ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა 31/12/20X1-ის შემდეგ.</p>
	<p>A საწარმო E საწარმოს საკუთარი კაპიტალის 1%-ს ფლობს.</p> <p>20X2 წლის 20 თებერვალს E საწარმომ დივიდენდები გამოაცხადა თავისი 20X1 წლის მოგებიდან.</p>

ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველი

მოვლენები, რომლებიც განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს ხდება მაშინ, როდესაც მაკორექტირებელი ან არამაკორექტირებელი მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საწარმო აღარ არის ფუნქციონირებადი საწარმო.

მაგალითად, 20X2 წელს, 31/12/20X1 წლის ფინანსური ანგარიშგების სამსახურში წარდგენამდე Z საწარმოსთვის ცნობილი გახდა, რომ მის ვენახს უკურნებელი დაავადება აქვს, რაც ყველა ვაზის გახმობას გამოიწვევს. Z საწარმოს დაზღვევა არა აქვს. ამიტომ, ხელმძღვანელობის შეფასებით Z საწარმოს ვაკოტრებაზე განაცხადის შეტანის, რაც საბოლოო ლიკვიდაციას გამოიწვევს, რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, რომ 31/12/20X1 წელს Z საწარმო მომგებიანიც იყო და კარგი ფინანსური მდგომარეობაც ჰქონდა და 20X1 წელს ვაზი ჯერ არ იყო დაავადებული, სხვა შემთხვევაში არამაკორექტირებელი მოვლენის მნიშ-

ვნელობის გამო Z საწარმოს 31/12/20X1 წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის შედგენილი ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე (იხ. პუნქტი 18.5).

ალიარება და შეფასება

18.3 საწარმომ უნდა დააკორექტიროს ფინანსურ ანგარიშგებაში ალიარებული თანხები (მათ შორის, შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ ასეთი არსებობს), საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.

მაგალითი 1– სასამართლოს გადაწყვეტილება

A საწარმოს 31/12/20X1-ში დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება სამსახურს წარუდგინეს 01/10/20X2 წელს.

20X1 წელს A საწარმოს ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა უჩივლა სამსახურიდან უკანონოდ გაშვების გამო.

31/12/20X1 წელს A საწარმომ ამ სასამართლო დავასთან დაკავშირებით ვალდებულება არ აღიარა, რადგან იმ დროს მიაჩნდა, რომ სასამართლო საქმის მოგება უფრო მოსალოდნელი იყო, ვიდრე არა და შესაბამისად სჯეროდა, რომ არ მოხდებოდა ეკონომიკური სარგებლის გასვლა.

თუმცა, 20X2 წლის მარტში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ A საწარმომ 5,000 ლარი კომპენსაცია უნდა გადაუხადოს ყოფილ თანამშრომელს.

სასამართლოს გადაწყვეტილება მაკორექტირებელი მოვლენაა, რადგან ის უზრუნველყოფს მტკიცებულებას, რომ 31/12/20X1 წელს:

- A საწარმოს ჰქონდა მიმდინარე ვალდებულება; და
- მოსალოდნელი იყო ამ მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად ეკონომიკური სარგებლის გასვლა.

ამიტომ, A საწარმომ უნდა აღიაროს 5,000 ლარის ოდენობით ანარიცხის ვალდებულება თავისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 31/12/20X1 წელს და 5,000 ლარი ხარჯი 20X1 წლის შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მაგალითი 2– ქონების გაუფასურება

31/12/20X1-ში დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება სამსახურს 01/10/20X2 წელს წარუდგინეს.

20X2 წლის იანვარში A საწარმომ ბანკს მიმართა სესხის მისაღებად. A საწარმოს მოსთხოვეს უზრუნველყოფის მიზნებისთვის თავისი ქონების (თბილისში არსებული მიწის ნაკვეთი და შენობა) საბაზრო ღირებულების პროფესიონალური შეფასების წარდგენა.

ქონების შეფასება 20X2 წლის იანვარში შეუკვეთეს და 20X2 წლის თებერ-

ვალში მიიღეს. შეფასებამ აჩვენა, რომ ქონების საბაზრო ღირებულება 31/12/20X2 წელს 20,000 ლარით ნაკლებია მის საბაზრო ღირებულებაზე 31/12/20X1 წლის მდგომარეობით.

შეფასება უზრუნველყოფს გაუფასურების ზარალის მტკიცებულებას, რაც საანგარიშგებო თარიღამდე (ანუ 31/12/20X1-მდე) მოხდა. A საწარმომ, მე-9 განყოფილების - არაფინანსური აქტივების გაუფასურება - შესაბამისად 20,000 ლარი გაუფასურების ხარჯი უნდა აღიაროს 20X1 წლის შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

- 18.4 არამაკორექტირებელი მოვლენები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარდება.

A საწარმოს 31/12/20X1-ში დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება სამსახურს წარუდგინეს 01/10/20X2 წელს.

A საწარმო თავის სახორცე პირუტყვს გადაფასების მოდელის გამოყენებით აღრიცხავს.

A საწარმოს სახორცე მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის საბაზრო ღირებულება 31/12/20X1 წლის 600,000 ლარიდან 900,000 ლარამდე გაიზარდა 01/10/20X2 წელს.

A საწარმომ თავისი სახორცე მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი 600,000 ლარად უნდა შეაფასოს თავის 31/12/20X1 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

- 18.5 თუ სამსახურისთვის ფინანსური ანგარიშგების წარდგენამდე მოხდება მოვლენა, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საფუძველს, მან ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადოს ისეთი საფუძველით, რომელიც ასახავს იმ ფაქტს, რომ საწარმო არ არის ფუნქციონირებადი საწარმო.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-2 განყოფილება - დაშვებები და ძირითადი პრინციპები (კერძოდ, პუნქტი 2.5).

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობის შეფასებისთვის იხილეთ მე-3 განყოფილება - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა (კერძოდ, პუნქტი 3.4).